ოქმი N 10

ხობის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 29 ივნისი 2022 წელი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. გოჩა ქაჯაია
2. მზია ლემონჯარია
3. ია ჯიშკარიანი
4. გივი ლატარია
5. აკაკი ხურცილავა
6. მაკა ჩარტია

სხდომას თავმჯდომარეობდა გოჩა ქაჯაია - კომისიის წევრი

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022 წლის 23 მაისის N50-502214338 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ - მარტის შესრულების შედეგების შესახებ" ანგარიშის მოსმენის თაობაზე);
   (მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის წევრი)

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის მ. თათარიშვილის 2022 წლის 23 ივნისის N51-51221741 განცხადების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ);
   (მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის წევრი)

3. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022 წლის 28 ივნისის N50-502217931 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ).
   (მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის წევრი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6 , წინააღმდეგი - არც ერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

სხდომის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები შეტანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში.

კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი საკითხების ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6 ; წინააღმდეგი - არც ერთი.

დადგინდეს: წარმოდგენილი საკითხები შეტანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე გოჩა ქაჯაია